

ნანა ლუხუტაშვილი

ქუთაისის სამართლისა და ეკონომიკის

უნივერსიტეტის ასისტენტ-პროფესორი

საბანანათლებლო კერების ორგანიზაციის ბენეფისის შესახებ

როგორც ჩვენი ერის მოამაგე, დიდი ქართველი მწერალი და საზოგადო მოღვაწე ილია ჭავჭავაძე წერდა—, განათლება იმისთანა თვისებაა ბუნებითად, რომ თავს მალევე ვერ იჩენს, იგი ნელ-ნელა შედის ცხოვრებაში თვალისათვის უჩინარად, ხელისათვის შეუხებლად. ამისთანა საქმისათვის რვა, ათი, ოცი და ორმოცი წელიწადი წვეთია ზღვაში: მოდგამ მოდგმა უნდა სცვალოს, შთამომავლობამ შთამომავლობა, რომ განათლება დასანახი და საგრძნობი შეიქმნეს“.

განათლების აკვანი შუემერებში დაირწა.

დღევანდელი ერაყის ტერიტორიაზე ძვ. წ. IV-III ათასწლეულებში ცხოვრობდა ძველი სამყაროს ერთ-ერთი ცივილიზებული ხალხი, შუემერელები. ამ ფენომენალური ინტელექტის, ღამაში პოეტური სულისა და გასაოცარი პრაქტიკული ნიჭის მქონე ხალხს, ლურსმნული დამწერლობის შექმნითა და მისი შემდგომი სრულყოფით უდიდესი წვლილი მიუძღვით პირველი სკოლების წარმოშობის საქმეში.

პირველი წერილობითი ძეგლები შუემერელთა ძველი ქალაქის ურუქის ნანგრევებში აღმოჩნდა. ათასობით თიხის პატარა ფირფიტა სამეურნეო და ადმინისტრაციული ხასიათის წარწერებით იყო დაფარული. აქვე მეცნიერებმა მიაკვლიეს საზეპირო სიტყვათა სიებს, რაც იმაზე მეტყველებს, რომ მაშინაც ყოფილან ადამიანები, რომლებიც ჩვენს წელთაღრიცხვამდე 3000 წლის წინ ფიქრობდნენ სწავლა-განათლების საკითხებზე. ძვ. წ. III ათასწლეულის შუა ხანებისათვის უკვე საკმაო რაოდენობით ყოფილა სკოლები, რომლებშიც ოფიციალურად ისწავლებოდა წერა-კითხვა. გათხრების შედეგად აღმოჩენილი „სახელმძღვანელოები“ დაახლოებით ძვ. წ. 2 500 წლიდან თარიღდება.

შუემერულ სასკოლო სისტემაზე, მის ორგანიზაციასა და სწავლების მეთოდებზე წარმოდგენას გვიქმნიან ძვ. წ. II ათასწლეულის პირველი ნახევრის ფირფიტები.

ჩვენდა საბედნიეროდ, ძველ შუემერულ მასწავლებლებსაც ჰყვარებიათ სასკოლო ცხოვრებაზე-მოსწავლეებსა და მასწავლებლებზე, სკოლის ამოცანებსა და მიზნებზე, სწავლების კურსსა და მეთოდებზე წერა. კაცობრიობის ისტორიაში ეს ერთადერთი შემთხვევაა, როცა ამდენი რამის გაგება შეგვიძლია ასეთი შორეული ეპოქის სკოლაზე.

თავდაპირველად შუემერული სკოლა წმინდა „პროფესიონალურ“ მიზანს

ისახავდა—მას უნდა მოემზადებინა მწერლები, რომელთაც სასახლისა და ტაძრისათვის საჭირო სამეურნეო თუ ადმინისტრაციული დოკუმენტების ჩაწერა-გადაწერა-შედგენა შექმნებოდათ. სასკოლო ქსელის ზრდა-განვითარებამ და, კერძოდ, სწავლების კურსის გაფართოებამ სკოლა თანდათან შუმერული კულტურისა და სწავლა-განათლების კერადაც აქცია. აქ ჩამოყალიბდა ტიპი უნივერსალური სწავლულისა, რომელიც დაუფლებული იყო იმჟამად არსებულ სიბრძნის ყველა დარგს—ღვთისმეტყველებას, ბოტანიკას, ზოოლოგიას, მინეროლოგიას, გეოგრაფიას, მათემატიკას, გრამატიკასა და ლინგვისტიკას. ამ სწავლულთაგან ბევრს თავისი წვლილიც შეჰქონდა ცოდნის სფეროში.

სკოლადამთავრებულნი მეტწილად ჩამწერად იწყებდნენ მუშაობას სასახლეებსა და ტაძრებში, ან კიდევ მდიდრებთან და ძლიერებთან ამა სოფლისა, მაგრამ იყვნენ ისეთებიც, რომელნიც თავიანთ სიცოცხლეს ცოდნის გაღრმავებას ან პედაგოგიურ საქმიანობას უძღვნიდნენ. დღევანდელი უნივერსიტეტის პროფესორთა მსგავსად, ბევრი ამ ძველ მეცნიერთაგან ფულს მასწავლებლობით შოულობდა, თავისუფალ დროს კი გამოკვლევებსა და სამწერლო საქმიანობას უთმობდა. შუმერული სკოლა, რომელიც თავდაპირველად ტაძრის დანამატის სახით წარმოიშვა, დროთა განმავლობაში გამოეყო მას და მისმა პროგრამამაც წმინდა საერო ხასიათი მიიღო. ამიტომ საფიქრებელია, რომ მასწავლებელს გასამრჯელოს მოსწავლეები უხდიდნენ.

ცხადია, შუმერში არ არსებობდა არც საყოველთაო და არც სავალდებულო სწავლება. მოსწავლეები მეტწილად მდიდარი ოჯახისშვილები იყვნენ, რადგან ღარიბებს არ ჰქონდათ არც დრო და არც ფული სწავლისათვის. გერმანელი ასირიოლოგის ნიკოლაუს შნაიდერის კვლევებით მწერლების (მათ კი, უეჭველია ყველას სკოლა ექნებოდა დამთავრებული) მამები მდიდარი მოქალაქეები—მმართველები, ელჩები, მთავარქურუმები, მხედართმთავრები, უმაღლესი საგადასახადო მოხელეები, ზედამხედველები და ა.შ. იყვნენ. საინტერესოა, რომ არცერთ დოკუმენტში არ გვხვდება ქალი—მწერლის სახელი. როგორც ჩანს, შუმერის სკოლებში მხოლოდ ვაჟები სწავლობდნენ.

სკოლას სათავეში ედგა „უმშია“ („ბრძენი“, მოძღვარი), რომელსაც „სკოლის მამასაც“ უწოდებდნენ. მოწაფეები „სკოლის შვილები“ იყვნენ, მასწავლებლის თანაშემწე— „დიდი ძმა“. მას, მაგალითად, ევალებოდა კალიგრაფიული ფირფიტა-ნიშუშის კეთება, საიდანაც გადაწერდნენ ხოლმე მოწაფეები, და აგრეთვე წერითი და სახეპირო დავალებების შემოწმება. სკოლაში იყვნენ აგრეთვე ხატვისა და შუმერული ენის მასწავლებლები, დამრიგებელი, რომელიც ამოწმებდა მოსწავლეთა დასწრებას, და ე.წ. „გამწეპლავი“, რომელიც ალბათ პასუხს აგებდა დისციპლინაზე. სასკოლო პერსონალის იერარქიასა და სკოლის საარსებო წყაროზე ცნობები არ არსებობს. სავარაუდოდ „სკოლის მამა“ იყო სკოლის თავკაცი და ის აძლევდა მის წილ გასამრჯელოს თანამშრომლებს იმ საერთო თანხიდან, რომელსაც მოსწავლეები უხდიდნენ სკოლაში სწავლისათვის.

სწავლა-განათლების ისტორიაში მოპოვებული პირველი უნიკალური დოკუმენტი მასწავლებლებისა და მოსწავლეების ურთიერთობის შესახებ უდიდესი სიცხადით წარმოაჩენს ადამიანის ბუნებას. მასში შუმერელი მოსწავლის ყოველდღიური

ცხოვრება ადვილი, რომელიც ძალიან ჰგავს ჩვენს თანადროულს. ეშინია სკოლაში დაგვიანებისა, ვინაიდან ამისათვის „მასწავლებელი გაჯოხავს“. გაიდვიძებს თუ არა, დედას აჩქარებს საუზმე მომომზადებ. საკმარისია, სკოლაში რაიმე დააშავოს, რომ ან მასწავლებელი ან მისი თანაშემწე გაჯოხავს (ლაპარაკისათვის, ფეხზე ადგომისათვის, სკოლის ჭიშკრიდან გასვლისათვის, ხელნაწერის დაწუნებისათვის და ა.შ.). მასწავლებლის შემოსავალი, ისევე როგორც დღეს, ძალიან მცირე ყოფილა, ამიტომ შუემრედი მასწავლებელს უხაროდა, როცა მოწაფის მშობლისაგან დამატებით ძღვენსა და საჩუქარს მიიღებდა. ამაზე მეტყველებს დოკუმენტი, რომელშიც ადვილია თუ როგორ უმასპინძლა მოწაფის მამამ მასწავლებელს. მამამ მასწავლებელი „ახალ სამოსში გამოაწყო, ძღვენი მიართვა და თითზეც ბეჭედი გაუკეთა.“

შემერის სკოლაში არსებულ სწავლების მეთოდებსა და ტექნიკაზე მწირი ინფორმაცია გაგვანია. დილით სკოლაში მივიდოდნენ თუ არა, მოსწავლეები განიხილავდნენ იმ ფირფიტას, რომელიც წინა დღით დაწერეს. შემდეგ „დიდი ძმა“ ე.ი. მასწავლებლის თანაშემწე, ამზადებდა ახალ ფირფიტას, ხოლო მოსწავლეები მის გადაწერასა და შესწავლას იწყებდნენ. „დიდი ძმა“ და „სკოლის მამა“ ეტყობა თვალყურს ადევნებდნენ მათ მუშაობას და ამოწმებდნენ, სწორად წერდნენ თუ არა ისინი. ცხადია, შუემრელი მოსწავლის მუშაობაში უდიდესი მნიშვნელობა ენიჭებოდა მის მესხიერებას. მოსწავლეთა მიერ გადასაწერ და შესასწავლ სიტყვათა მშრალ სიებს, ცხრილებსა და ლიტერატურულ ტექსტებს უეჭველია მასწავლებლისა და მისი თანაშემწის ზეპირი და ახსნა-განმარტებითი მასალა ერთვოდა.

შუემრულ სკოლებში სწავლება ორი ძირითადი კურსით მიმდინარეობდა: ერთი უფრო მეცნიერებისა და ტექნიკისაკენ იხრებოდა, მეორე კი—ლიტერატურულ-შემოქმედებით ხასიათს ატარებდა.

პირველ პროგრამასთან დაკავშირებით საჭიროა ავლნიშნოთ, რომ მისი შექმნა მეცნიერების დაუფლებისა თუ ჭეშმარიტების შეცნობის წყურვილით არ იყო განპირობებული. ეს პროგრამა თანდათან ჩამოყალიბდა სწავლების პროცესში, რომლის ძირითადი მიზანი შუემრული დამწერლობის სწავლება იყო. შუემრელი პედაგოგები ადგენდნენ მრავალგვარ მათემატიკურ ცხრილებსა და ამოცანათა კრებულებს, რომლებსაც შესაბამის ამოხსნებსა და პასუხებსაც ურთავდნენ.

მეორე სასწავლო პროგრამას წმინდა ლიტერატურულ-შემოქმედებითი მიმართულება ჰქონდა, რომლის მიხედვით სწავლების არსი ლიტერატურულ ნაწარმოებთა შესწავლა-გადაწერა და მათი მიბაძვა იყო.

სწავლების ხასიათს შუემრის სკოლებში სულაც არ ჰქონდა საერთო პროგრესული სწავლების სისტემასთან. რაც შეეხება დისციპლინას, უჯოხოდ არაფერი გამოდიოდა. შესაძლოა, დროდადრო მასწავლებელი წაახალისებდა და შეაქებდა ბეჯით მოწაფეს, მაგრამ მას ჯოხის ძალა უფრო ეიმედებოდა, რათა ძირშივე დაეთრეუნა ყოველგვარი შეცდომა თუ დაუდევრობა. ასე, რომ მოსწავლეს სულაც არ ჰქონდა სანეტარო ცხოვრება. იგი ყოველდღე დაიარებოდა სკოლაში და მთელ დღეს მზის ამოსვლიდან ჩასვლამდე იქ ატარებდა. სასწავლო წლის რომელიღაც მონაკვეთში მას, ალბათ, არდადეგები ექნებოდა, მაგრამ ამის შესახებ არაფერია ცნობილი. სწავლება

წლობით გრძელდებოდა და მაშინდა წყდებოდა, როცა მოწაფე ყმაწვილკაცობაში დგამდა ფეხს.

საინტარესო იქნებოდა გვეცოდნოდა იმის შესახებ, შეეძლო თუ არა შემერეულ მოსწავლეს სპეციალობის არჩევა და თუ შეეძლო, რამდენად იყო უფლებამოსილი ანდა რა ეტაპზე ხდებოდა ეს. მაგრამ ამის შესახებ წყაროები არ მოგვეპოვება.

მაშასადამე, შუმერული სკოლა საკმაოდ პირქუში და უღიმღამო დაწესებულება ყოფილა, სწავლების პროგრამა-მშრალი, სწავლება-მოსაწყენი და ერთფეროვანი, დისციპლინა-მკაცრი.

მსოფლიოში უძველეს, დღემდე მოქმედ უმაღლეს სასწავლებელს მიეკუთვნება ყარაუნის უნივერსიტეტი ქ. ფესეში (მაროკო). იგი 859 წელსაა დაარსებული.

ევროპაში პირველმა უნივერსიტეტებმა (უნივერსიტას-ლათინური სიტყვაა და კავშირს გაერთიანებას ნიშნავს) XII საუკუნის მეორე ნახევრიდან იწყეს ჩამოყალიბება და ეს პროცესი შემდეგნაირად გამოიყურებოდა: იტალიაში ბოლონიის-1158 წ.; ინგლისში კემბრიჯის-1209 წ.; საფრანგეთში პარიზის-1215 წ.; ესპანეთში სალამანკის-1218 წ.; პორტუგალიაში ლისაბონის-1290 წ.; ჩეხეთში პრაღის-1348 წ.; პოლონეთში კრაკოვის-1364 წ.; ავსტრიაში ვენის-1365 წ.; გერმანიაში ჰაიდელბერგის-1386 წ.; შვეიცარიაში უფსალის-1467 წ.; დანიაში კოპენჰაგენის-1479 წ.

ლათინური ამერიკის კონტინენტზე პირველი უნივერსიტეტები დაარსეს ესპანელებმა: 1538 წელს სანტა-დომინგოში, 1551 წელს-მეხიკოში, იმავე წელს-ლიმაში.

აშშ-ში პრივილეგირებული სკოლა-კოლეჯები გახსნეს ინგლისელმა ახალმოსახლეებმა: ჰარვარდის- 1636 წ.; ულიამის-1693 წ.; მერის-1693 წ.; იელის-1701 წ.; რომლებიც მხოლოდ მე-19 საუკუნეში გადაკეთდნენ უნივერსიტეტებად.

მე-19 საუკუნის მეორე ნახევარში ინგლისმა თავის კოლონიებშიც გახსნა უნივერსიტეტები: ინდოეთში- კალკუტის, მადრასის, ბომბეის (1857 წ.), პენჯაბის (1882 წ.), ალაჰაბადის (1887 წ.). აგრეთვე ბეირუთში- ორი უნივერსიტეტი 1866 წელსა და 1881 წ.; ალჟირში-1879 წელს.

ჩინეთში პირველი უნივერსიტეტი გაიხსნა პეკინში-1898 წელს, ეგვიპტეში-1908 წელს კაიროში, სირიაში-1293 წელს დამასკოში, ირანში-1934 წელს თეირანში.

რუსეთში-1725 წელს მ. ლომონოსოვის ინიციატივით დაარსდა უნივერსიტეტი.

საქართველოში კი 1918 წელს თბილისის უნივერსიტეტი.

ასე ყალიბდებოდა ცივილიზებულ სამყაროში განათლების კერები.

უნივერსიტეტებს დიდი ბრძოლები გადახდათ, სანაამ დამოუკიდებლობას მოიპოვებდნენ. ამხრივ მნიშვნელოვანი იყო 1231 წლის „დიდი ქარტია“, რომელიც რომის პაპმა გრიგოლ მეცხრემ გამოსცა.

უნივერსიტეტების ცხოვრებიდან აღსანიშნავია პარიზის უნივერსიტეტი რომლის მნიშვნელობაზე მიუთითებდა ასეთი გამოთქმა: „ იტალიაში პაპობაა, გერმანიაში -იმპერია, საფრანგეთში უნივერსიტეტი“.

უნივერსიტეტი აერთიანებდა იმათ ვინც საწავლობდა და იმათ ვინც ასწავლიდა. მასწავლებლები გაერთიანებული იყვნენ ფაკულტეტებში. ფაკულტეტი (აცულტას) ლათინური სიტყვაა და „ნიჭს,“ „ უნარს“ ნიშნავს. პარიზის უნივერსიტეტი იყოფოდა ოთხ ფაკულტეტად: ღვთისმეტყველების, იურიდიული, სამედიცინო და ფილოსოფიური (არტისტული). არტისტულად იწოდებოდა იმიტომ, რომ აქ გადიოდნენ შვიდ ე. წ. “თავისუფალ ხელოვნებას”-გულისხმობს სასწავლო დისციპლინებს,რომლებიც ანტიკური განათლების სისტემიდან მოდის. ის შუა საუკუნეებშიც არსებობდა. საგნები ორ ციკლად იყოფოდა: ტრივიუმი (გრამატიკა, რიტორიკა, დიალექტიკა) და კვადრივიუმი (არითმეტიკა, გეომეტრია, ასტრონომია, მუსიკა).

მაგისტრები (მაგისტერ-ლათინური სიტყვაა და ნიშნავს უფროსს, მასწავლებელს, მოძღვარს. შუა საუკუნეებში მაგისტრი ბერმონაზვნური და რაინდული ორდენის ტიტული ან ამ ტიტულის მქონე პირი იყო. „შვიდი თავისუფალი ხელოვნების“ მასწავლებელსაც მაგისტრს უწოდებდნენ.) ირჩევდნენ თავიანთ ხელმძღვანელს- დეკანს. მოსწავლეები იწოდებოდნენ სტუდენტებად (სტუდენს- ის ვინც მეცადინეობს, საწავლობს).

სტუდენტები ერთიანდებოდნენ „ნაციებში“, ვინაიდან უნივერსიტეტებში საწავლობდნენ სხვადასხვა ერის წარმომადგენლები. სწორედ „ნაციები“ ირჩევდნენ რექტორს, რომელიც, უფრო ხშირად სასულიერო პირი იყო, ქორწინება შეუთავსებლად ითვლებოდა მეცნიერების დაუფლებასთან.

ყველა სტუდენტი შეტანილი იყო სიაში- მატრიკულში. სტუდენტები იხდიდნენ სწავლის საფასურს- პონორარს. ხშირი იყო პონორარის გადახდის დაგვიანება.

სტუდენტთა ცხოვრების უკეთესად ორგანიზებისათვის შეიქმნა კოლეგიები. ასე იწოდებოდა საერთოსაცხოვრებლები. კოლეგიები შემოწირულობებს ფულის სახით იღებდნენ პაპებიდან, მეფეებიდან, სასულიერო პირთაგან და მდიდარი მოქალაქეებიდან. ამგვარი მეცენატობის ნიმუშს წარმოადგენდა რობერტ სორბონის, ლუდოვიკო IX მოძღვრის მოღვაწეობა.

უნივერსიტეტში სტუდენტთა სწავლება იწყებოდა მეცნიერების საფუძვლის შესწავლით. პარიზის უნივერსიტეტის ღვთისმეტყველების ფაკულტეტის დოქტორთა დადგენილებაში პირდაპირ იყო ნათქვამი,რომ ტრივიუმი და კვადრივიუმი მეცნიერების ფუნდამენტია და მის გარეშე წინ ვერავინ წავაო. არტისტული ფაკულტეტი ყველაზე მრავალრიცხოვანი იყო. გამოცდების წარმატებით ჩაბარების შემთხვევაში უნივერსიტეტდამთავრებულს ენიჭებოდა ბაკალავრის წოდება. ამასთანავე ბაკალავრს მონაწილეობა უნდა მიეღო დისპუტში და უნივერსიტეტისათვის ერთგვარი ფიცი უნდა დაედო. ამის შემდეგ ისინი ხდებოდნენ მასწავლებლები. ზოგჯერ ბაკალავრები აგძელებდნენ უმაღლეს ფაკულტეტებზე სწავლას და ამდენად ერთდროულად ისინი სტუდენტებიც იყვნენ და მასწავლებლებიც. „არტისტები“ ყველაზე ხელმოკლენი იყვნენ.

არსებობდა ამგვარი გამოთქმაც: „გალენი (მედიცინა) იძლევა სიმდიდრეს, იუსტინიანე (სამართალი) იძლევა ღირსებას და თანამდებობას, ხოლო არტისტები დადიან ფეხით.“

შმაღლეს ფაკულტეტებად ითვლებოდა: იურიდიული, სამედიცინო და ღვთისმეტყველების, ზოგიერთი უნივერსიტეტისთვის ესა თუ ის ფაკულტეტი ხდებოდა წამყვანი. მაგალითად: ბოლონისა და კრაკოვის უნივერსიტეტები ცნობილი იყო იურიდიული ფაკულტეტით, პარიზის უნივერსიტეტი განთქმული იყო ღვთისმეტყველების ფაკულტეტით. მასზე მხოლოდ სასულიერო პირები საწავლობდნენ.

შმაღლესი ფაკულტეტების დამთავრების შემდეგ ენიჭებოდათ სამეცნიერო ხარისხი-დოქტორი ანა მაგისტრი. მისი მიღება ძნელი იყო. ვინაიდან დიდი ცოდნის გარდა საჭირო იყო ფულადი სახსრები. ასი სტუდენტიდან ბაკალავრის წოდებას იღებდა 30-35 და მათგან სამაგისტრო გამოცდაზე ცხადდებოდა 5-6. გამოცდის ჩაბარების შემდეგ მათ მასწავლებლობის უფლება ენიჭებოდათ და იწოდებოდნენ ლიცენციატებად. თუკი ამ უკანასკნელს სურდა მაგისტრად გახდომა, მას უნდა გაეწეოთ დიდი საზეიმო წეს-ჩვეულება; მონაწილეობა უნდა მიეღო სამდღიან დისპუტში. საზეიმო ცერემონიის დროს ლიცენციატს თავს ადგამდნენ რექტორის ქუდს (ბერეტს), როგორც თავისუფლებისა და ღირსების ნიშანს, უკეთებდნენ თვლიან ბეჭედს, როგორც მეცნიერებასთან დანიშნულის სიმბოლოს და მოაცემევდნენ განსაკუთრებულ მანტიას. მაგისტრობის მსურველი დგამდა ოთხგირვანქიან სანთელს და ღვინითა და კამფეტებით უმასპინძლებოდა თავის მომავალ კოლეგებსა და მეცნიერებს. ამასთანავე, დისპუტამდე ორი კვირით ადრე, მას ყველა მაგისტრისა და ბაკალავრისათვის საჩუქრები უნდა დაერიგებია.

სწავლება მიმდინარეობდა 19-20 ოქტომბრიდან 7 სექტემბრამდე. სექტემბერ-ოქტომბერში იყო დიდი ვაკაციები. მეცადინეობა ორი კვირით წყდებოდა სააღდგომო დღეებში და ზაფხულში. იგი ემთხვეოდა ცაზე „პატარა ძაღლის“ თანაგარსკვლავედის გამოჩენას, ამიტომაც ამ ვაკაციებმა მიიღეს სახელწოდება—„კანიკული“ (ლათ.ჩანიცულა-პატარა ძაღლი, ლეკვი).

ყველა მეცადინეობა ტარდებოდა ლათინურ ენაზე.იგი იყო ევროპული მეცნიერული აზროვნების ენა, რაც ხელს უწყობდა სხვადასხვა ქვეყნის მეცნიერთა კონტაქტებსა და ნებისმიერ უნივერსიტეტში სწავლას.

მთავარი სახეობა მეცადინეობისა იყო ლექცია, ე.ი.წიგნების კითხვა და გაუგებარი ადგილების ახსნა. არსებობდა ორი სახის ლექცია—ორდინარული და ექსტრაორდინალური. პირველზე იკითხებოდა აუცილებელი წიგნები სასწავლ დღეებში, ხოლო მეორეზე წიგნები, რომლებიც აუცილებელი არ იყო გამოცდებისათვის, ამიტომაც ეს ლექციები ტარდებოდა არასასწავლო საათებში, სადილობის შემდეგ. ამგვარ ლექციებს კითხულობდნენ ბაკალავრები, ხოლო ორდინალურს-მაგისტრები.

ლექციის გაცდენის ან დაგვიანებისათვის დაწესებული იყო ჯარიმა, რომელიც უნდა გადაეხადა როგორც სტუდენტს ასევე ლექტორს.

ლექციის კითხვისას ლექტორი წიგნის გაუგებარ ადგილს ორჯერ უხსნიდა

სტუდენტებს, რომლებიც თვალ-ყურს ადევნებდნენ წიგნში მასწავლებლის ახსნილ ადგილს. ზოგჯერ ლექტორი სტუდენტებს კარნახობდა ლექციას, მაგრამ მათი ჩანაწერები ბევრ შეცდომას შეიცავდა და ამიტომაც ეს მეთოდი უარყვეს. სასწავლო სახელმძღვანელოდ გამოიყენებოდა მაგისტრების მიერ შედგენილი კონსპექტები. ამა თუ იმ სპეციალობის სტუდენტებისათვის დადგენილი იყო აუცილებლად შესასწავლი წიგნები, მაგალითად: „არტისტები“ კითხულობდნენ არისტოტელეს, ექიმები—ჰიპოკრატეს, გალენს, ავიცენას; იურისტები—კანონიკურ კრებულებს, დეკრეტებს; ამიტომაც სტუდენტ-იურისტებს დეკრეტალისტებს ან კანონისტებს უწოდებდნენ.

სწავლების აუცილებელი ნაწილის, ლექციების დამატებას, შეადგენდა დისპუტები, კამათი განსაზღვრულ თემაზე. დისპუტებს დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. აქ ცნობილი ხდებოდა ახალი მტკიცებანი, იდეები, აზრები. იგი ხელს უწყობდა აზროვნების, ლოგიკის განვითარებას. მოკამათენი კამათის დროს ხშირად იყენებდნენ ციტატებს. ამგვარი დისპუტები ხშირად იმართებოდა. მას ასობით მსმენელი ესწრებოდა. არც თუ იშვიათად კამათი დაძაბულ და მშფოთვარე ხასიათს იძენდა და გადაიზრდებოდა ხელჩართულ ბრძოლაში, ამიტომაც მოწინააღმდეგეთა შორის ბარიერს დგამდნენ. მიღებული იქნა სპეციალური დადგენილებაც, რომელიც კრძალავდა მოწინააღმდეგისათვის გვეწოდებია „ერეტიკოსი“, „ვირი“ და ა.შ.

ზოგჯერ, როგორც გარკვეულ ზეიმს, უნივერსიტეტი აწყობდა დისპუტს: „რაზედაც გნებავთ“. ეს იყო სიტყვიერი გაჯიბრება, ტურნირი, რომელშიც დისპუტანტი უარყოფდა ყოველნაირ თეზისს, დებულებას. ამგვარი დისპუტი ეწყობოდა იშვიათად, 4 წელიწადში ერთხელ და გრძელდებოდა ორი კვირის მანძილზე. სტუდენტები, მაგისტრები, რექტორი და დეკანები ყველანი დისპუტს ესწრებოდნენ. ამგვარ კამათზე სერიოზულ შეკითხვებს მოჰყვებოდა სახუმარო კითხვებიც.

უნივერსიტეტში მსმენელები მუდმივი არ იყო. სტუდენტთა ერთი ნაწილი სხვადასხვა უნივერსიტეტში ისმენდა ლექციებსა და მონაწილეობას იღებდა დისპუტებში. თანდათანობით ჩამოყალიბდა განსაკუთრებული ტიპი მოგზაური სტუდენტისა-ვაგანტი, რომელიც მეცნიერების დაუფლებისათვის კი არ იღწვოდა, არამედ თავისუფალი მოხეტიალე ცხოვრებისა და მოგზაურობებისაკენ მიიღწეოდა.

სტუდენტთა და ლექტორთა წრიდან გამოდიოდა და ყალიბდებოდა ქალაქის ინტელიგენცია, რომელიც ოპოზიციაში იყო ხელისუფლებასა და კათოლიკურ ეკლესიასთან.

პარიზისა და ბოლონიის უნივერსიტეტები ევროპის პირველი უმაღლესი სასწავლო დაწესებულებებია. მათ ყაიდაზე შეიქმნა ევროპის უნივერსიტეტები. უკვე მე-15 საუკუნის ბოლოსთვის ევროპაში 65 უნივერსიტეტი აღირიცხებოდა. მათ უდიდესი წვლილი შეიტანეს განათლების, მეცნიერებისა და საერთოდ ევროპული კულტურის განვითარების საქმეში.